

შპს „აისბერგი-9“-ს

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს აისბერგი-9“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს აისბერგი-9			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
	ერთეული: 1 GEL		
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	238015	254997	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	317058	1003970	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1464232	54518	3.3
მარაგები	4488195	2180987	3.4
მზა პროდუქცია	4386600	2075746	
სხვა	101595	105241	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	904	0	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	
ძირითადი საშუალებები	3270277	1664881	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	9778681	5159353	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	3848977	1367097	3.6
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	
საგადასახადო ვალდებულებები	128279	0	3.7
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	769340	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3791630	2638882	3.8
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	8538226	4005979	
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპატიო')	0	0	
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1240455	859109	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	294265	
სულ საკუთარი კაპიტალი	1240455	1153374	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9778681	5159353	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.			
დირექტორი	ნათია მახარაძე		
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს აისბერგი-9“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს აისბერგი-9			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	შენიშვნა
საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021	
ნეტო ამონაგები	16948611	9696994	3.9
საქონლის გაყიდვიდან	16680626	9032717	
მომსახურების გაწევიდან	267985	117919	
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0	
სხვა	0	546358	
გაყიდვების თვითღირებულება	-14041997	-7987644	
საწყისი მარაგები	0	0	
მარაგების შესყიდვა	0	0	
გადამუშავების დანახარჯები	0	0	
საბოლოო მარაგები	0	0	
საერთო მოგება	2906614	1709350	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8799	0	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-937588	-317964	
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-182235	-90282	
საპროცენტო შემოსავალი	0	0	
საპროცენტო ხარჯი	-154925	-118553	3.10
იჯარის ხარჯი	-653868	-319318	3.11
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-833146	-339002	3.12
სულ საოპერაციო ხარჯები	-2752963	-1185119	
საოპერაციო მოგება	153651	524231	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო საც	518667	0	
მიღებული დივიდენდები	0	0	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	672318	524231	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	672318	524231	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვ	0	0	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფ	0	0	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0	
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	672318	524231	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1153374	334878	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შე	0	0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-585237	294265	3.13
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1240455	1153374	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.			
დირექტორი _____	ნათია მახარაძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

შპს აისბერგი-9“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს აისბერგი-9			
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021	
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-342599	132729	
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1596472	0	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1922089	0	
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	0	0	
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	254997	122268	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	238015	254997	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.			
დირექტორი _____	ნათია მახარაძე		
თანმშლეები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი			

2022 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „აისბერგი-9“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2010 წლის 25 მარტს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 445384682, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი, №73ა, ბ. N4. ფაქტობრივი მისამართი, სადაც განთავსებულია კომპანიის მენეჯმენტი, არის საქართველო, ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის 93. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ რაულ სურმანიძე (პ/ნ 61002009289).

1.3. კომპანიის დირექტორები არიან: ფ/პ რაულ სურმანიძე (პ/ნ 61002009289) - გენერალური დირექტორი (ერთპიროვნული) და ფ/პ ნათია მახარაძე (პ/ნ 61004037294) - გენერალური დირექტორი (ერთპიროვნული).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით; ასევე, საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს ნებისმიერი სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ანხორციელებს რამდენიმე ლოკაციაზე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია თავის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას ანხორციელებდა ქ.ბათუმში არსებულ 14 ლოკაციაზე.

1.5. კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 91 ადამიანს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე 2022 წლის 16 ივლისიდან აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია

წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ)

მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 8-12 წელი;

ინვენტარი - 8-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს აისბერგი-9“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2022 წელს: 1 USD=2.9156 ლარი; 1 EUR=3.0792 ლარი.

2021 წელს: 1 USD=3.22 ლარი; 1 EUR=3.8124 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	161141	60869
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	76874	194128
სულ:	238015	254997

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები	317058	601282
სხვა მოთხოვნები (მიწის გაყიდვიდან)		402688
სულ:	317058	1003970

კომპანიას გარდა საცალო გაყიდვებისა, ასევე ჰყავს სავაჭრო პარტნიორი იურიდიული პირები (დებიტორები), რომლებსაც საქონელს აწვდის კონსიგნაციით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული დებიტორული მოთხოვნა ფაქტობრივად შედგება აღნიშნული იურიდიული პირების მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნებისაგან.

3.3. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1464232	54518
სულ:	1464232	54518

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას ავანსად აქვს გადარიცხული მიწის ნაკვეთის შეძენის საფასური.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო საქონელი	4386600	2075746
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	101595	105241
სულ:	4488195	2180987

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები შედგება კომპანიის 14 ობიექტის სახარჯი მასალებისაგან, როგორიცაა: ობიექტების დასუფთავების და დალაგების საშუალებები, საკანცელარიო და სხვა სახარჯი მასალებისაგან.

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	2022 წელი ზრდა ან შემცირება	2022 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
შენობები	1214017	0	45475	1259492
მანქანები	105890	27966	8640	86564
მანქანა-დანადგარები	291973	267965	30209	54217
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	30221	15254	1038	16004
კავშირგაბმულობის მოწყობილობები	22099	13570	2883	11413
ოფისის აღჭურვილობა	35155	26894	2714	10974
კომპიუტერული ტექნიკა	199001	136972	18992	81021
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2325	2330	233	228
ინვენტარი	798305	750829	66440	113917
სარეკლამო საშუალებები	50830	56441	5611	0
იჯარით აღებული ქონების კუთვლილობა	520464	489412	0	31052
სულ:	3270278	1787632	182235	1664881

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით
სავაჭრო ვალდებულებები	3848977	1367097
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	0
სულ:	3848977	1367097

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შედგება რეზიდენტი პირებისადმი საოპერაციო (სავაჭრო) საქმიანობიდან წარმოქმნილი დავალიანებებისაგან ეროვნულ ვალუტაში.

3.7. საგადასახადო ვალდებულებები:

კომპანიის საგადასახადო ვალდებულება 31.12.2022-ის მდგომარეობით ფაქტობრივად შედგება კომპანიის მიერ წარდგენილი 2022 წლის დეკემბრის თვის საგადასახადო დეკლარაციებით (დღგ, საშემოსავლო) დარიცხული თანხებისაგან და 2022 წლის ქონების გადასახადისაგან. ანგარიშგების წარდგენის მომენტში კომპანიას დაფარული (გადახდილი) აქვს აღნიშნული თანხები სრულად.

3.8. გრძელვადიანი სესხები:

კომპანიის გრძელვადიანი სესხები, როგორც ლარში ასევე აშშ დოლარში, სრულად შედგება სს „საქართველოს ბანკისაგან“ მიღებული სესხისაგან.

3.9. ნეტო ამონაგები:

2022 წლის ამონაგები ფაქტობრივად მთლიანად შედგება კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობიდან (საცალო ვაჭრობა) მიღებული შემოსავლებისაგან.

3.10. საპროცენტო ხარჯები:

2022 წელს კომპანიის საპროცენტო ხარჯები შედგებოდა სს „საქართველოს ბანკისაგან“ აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან.

3.11. საიჯარო ხარჯი:

კომპანიას ფაქტობრივად ყველა ობიექტი აღებული აქვს იჯარით, შესაბამისად გააჩნია საიჯარო ხარჯები.

3.12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
ბონუს-ქულების ხარჯი	59.32	
მარკეტინგული ხარჯები	27811.46	31400
კომუნალური გადასახადი	298502.34	143332
კომუნიკაციის ხარჯი	10066.73	5930
დაზღვევის ხარჯი	2696.83	
სარემონტო ხარჯი	65640.79	21106
ა/მ საექსპლუატაციო ხარჯი	16552.4	
საწვავი	42833.21	21179
საექსპლუატაციო ხარჯი გარდა ა/ვ	1495.77	
სარეკლამო ხარჯი	32404.69	
სამეურნეო ხარჯი	44145.88	
საკანცელარიო ხარჯი	87380.49	21922
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	27376.29	
დაცვის მომსახურება	1101.7	
საგადასახადო ხარჯები	25627	
ბანკის მომსახურება	113292.15	50372
კონვერტაციის ხარჯები	17514.46	
სხვა ხარჯები	15996.74	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	817.78	
სამეურნეო ჯარიმები და პირგასამტეხლოები	140	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1689.52	8500
სოციალური დანარიცხები		6197
უარყოფითი საკურსო სხვაობა		29063
	833146	339001

3.13. კაპიტალის სხვა ცვლილებები:

კომპანიამ გაასწორა 2021 წელს აღრიცხვაში დაშვებული მექანიკური შეცდომა - მცდარი სავალუტო კურსით (სხვა ვალუტის კურსით) გადაფასებით გამოწვეული შეცდომა და სხვა გამორჩენილი ხარჯი.

3.14. სასამართლო დავები:

კომპანიას 2022 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2023 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2023 წლის 1 ოქტომბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	238015	254997	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	317058	1003970	3.2
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1464232	54518	3.3
მარაგები	4488195	2180987	3.4
მზა პროდუქცია	4386600	2075746	
სხვა	101595	105241	
საინვესტიციო ქონება	0	0	
სხვა მოკლევადიანი აქტივები	904	0	
ბიოლოგიური აქტივები	0	0	
თვითღირებულების მოდელით	0	0	
გადაფასების მოდელით	0	0	
გუდვილი	0	0	
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	
ძირითადი საშუალებები	3270277	1664881	3.5
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	
სულ აქტივები	9778681	5159353	
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	3848977	1367097	3.6
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	
საგადასახადო ვალდებულებები	128279	0	3.7
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	769340	0	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3791630	2638882	3.8
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	0	0	
სულ ვალდებულებები	8538226	4005979	
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	
საემისიო შემოსავალი	0	0	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1240455	859109	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	294265	
სულ საკუთარი კაპიტალი	1240455	1153374	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	9778681	5159353	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.

დირექტორი _____ ნათია მახარაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

შენიშვნა

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	16948611	9696994
საქონლის გაყიდვიდან	16680626	9032717
მომსახურების გაწევიდან	267985	117919
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	546358
გაყიდვების თვითღირებულება	-14041997	-7987644
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	2906614	1709350
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8799	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-937588	-317964
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-182235	-90282
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-154925	-118553
იჯარის ხარჯი	-653868	-319318
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-833146	-339002
სულ საოპერაციო ხარჯები	-2752963	-1185119
საოპერაციო მოგება	153651	524231
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გა	518667	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	672318	524231
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	672318	524231
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	672318	524231
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1153374	334878
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-585237	294265
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1240455	1153374

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.

დირექტორი _____

ნათია მახარაძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-342599	132729
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1596472	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1922089	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	0	0
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	254997	122268
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	238015	254997

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.10.2023 წ.

დირექტორი _____

ნათია მახარაძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი